№ 76 12 აპრილი, ხუთშაბათი 1866—1879 12 აპრილი, ხუთშაბათი № 76

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible] ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ფროთი—5 კაპ, პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტოოს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე ზ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

**გაზეთის ფასი**

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა — — — | 5 მან. |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — | 1 „ |

**პირველი აპრილიდამ წლის დამლევამდინ 6 (ექვსი) მან.**

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

# საქართველო

## დღიური

*** ქუთაისის გამსესხებელ შემნახველი ამხანაგობა დაარსდა 1877 და აქნობამდინ საზოგადოებას იმისი მოქმედება არ შეუტყვია. თითქმის წელიწადია რაც ახალი წევრებია ამორჩეული და როგორც შევიტყეთ აქნობამდისინ არც კი მიუღიათ ანგარიში და საქმეები ძველი წევრებისაგან. მართლაც ეს მესამე წელიწადია, რომ საზოგადოებას არ უნახავს იმის წლიური ანგარიში. მიკვირს, სწორეთ, ტყუილათ რათ აბანდებენ ფულებს; არა სჯობს ერთ რომელიმე სოფელში, საცა უფრო სასარგებლო იქნება ეს გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, არ გადიტანენ ამ ფულებს და არ გამართავენ. ვთხოვთ შეგვატყობინონ დაწვრილებითი ამბავი ამის თაობაზე.

*** როგორც მოგეხსენებათ 25 აპრილს დანიშნულია თავად-აზნაურების კრება ბანკის თაობაზე, და მიკვირს ეისიც რიგია რატომ არ ფიქრობს იმაზე თუ სად უნდა შეიკრიბნონ ის თავად-აზნაურები, რომელიც ჩამოვლენ. როგორც გვითხრეს და ჩვენც გვინახამს თვითონ ბანკში არ არის იმოდენა ოთახი რომ ეს ხალხი დაეტიოს. მგონი კიდეც დროა მიიღონ რამე საშუალება სახლის საშოვნელათ, რადგან კრება ცხვირ-წინ აქვთ.

*** ორშაბათს 9 აპრილს თფილისის ქალაქის რჩევაში იყო სხდომა, რომელშიაც ამოირჩიეს გამგეობის წევრები. ხანჯიევის მაგივრათ ამოირჩიეს ნ. ავ. პაპოვი, რომელიც ადრე იყო იმ გამგეობის უფროსი ბუღალტერი. მიიღო 31 თეთრი და 14 შავი. მეორე, კანდიდატათ უ.უ. ხოსროევი 27 თეთრი და 17 შავი.

ამ სხდომაზედვე გადასწყვიტეს რომ ალარ ამოირჩიონ შენობითი მოქმედების უფროსი და მოიწვიონ ამ ადგილზე ის პირი, რომელიც თავის ნებით მოინდომებს.

*** ქალაქის თავმა ა. მატინოვმა რჩევის გახსნის უკან წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა აზრი ქალაქის საქმის კარგათ წაყვანისა, თუ ვინიცობაა მას დეეხმარებიან სუყველა წევრები. ამას გარდა მან გამოსთქვა იმედი ნაყოფის მოტანისა ახალ წევრების თანაშემწეობით და გამოუცხადა ყველას მადლობა მის ამორჩევისათვის.

*** ვაკიდგან მივიღეთ შემდეგი ამბავი ამ ოთხი დღის წინეთ ს. ვაკის ახლოს, ბორის უეზდში, ფცის წყლის ბოგირზედ მომხდარა ერთი სამწუხარო საქმე, როგორც დღეს მიამბო ერთმა წარჩინებულმა თავადმა. ერთს თფილისის მოქალაქეს (გვარი არ იცოდა) დაუნიშნავს ქალი თავის ვაჟისათვის ს. არადეთში, რომელიც ამ ბოგირიდგან ოთხის ვერსის სიშორეზე მდებარეობს. წარსულს კვირაში სამეფო თავის გასათხოვარის დით და დედით მოსულა ზემოხსენებულ სოფელში დანიშნულის სანახავათ. იმ დღეს, როდესაც ამ ხალხს ქალაქში წასვლა დაუპირებიათ, ცარიელი ფაიტონი მომავალეებულა ბრეთიდგან, მოქალაქეებს რომ ფაიტონი უნახავთ უფიქრიათ: გორში ჩასვლას,—ამ ფაიტონით გომის სტანციაში გადავიდეთ და იქიდგან რკინის გზით წავიდეთ ქალაქში. უფიქრიათ და კიდეც აღუსრულებიათ. რამდენიმე წამის განმავლობაში ამ ფაიტონს თავისის პასაჟირებით მოუტანებია ფცის წყლის ბოგირი დუქანთან.

—ფცის წყალი გამოდის ძალინის ხეობიდგან, ჩამოუდის გვერდზედ ზოგიერთ სოფლებს; ამ წყალზედ ყოველთვის ბოგირი ყოფილა.

რადგან ამ ბოგირზედ 1878 წელში აზიის ომის ველისკენ მომავალ რუსის ჯარს თავიანთის ზარბაზნებით და ჯარის მოწყობილობაებით უნდა გაევლო, ამისათვის მთავრობამ აუცილებელ საჭიროდ დაინახა ამ ბოგირის მაგიერ ახალი გაკეთება. ახალი ბოგირის გასაკეთებლათ, ამბობენ, რამდენიმე ათასი მანეთი გარდაუცია მთავრობას აქაურ უფროს პოლიციისთვის რომელიც ზედამხედველობითაც ისეთი ბოგირი გაკეთებულა ამ ფცის წყალზედ, რომ მისი წახდენა აუცილებელი იყო პირველ ამ წყლის მოდიდებაზედვე. მართლაც ამ ოთხი დღის წინეთ ადიდებულ ფცის წყალს თავის ბოგირისთვის არადეთის მხრიდგან, ყველა ბურჯები გამოეცალა გარდა მეორე ნაპირის ორი ბურჯებისა.

— აი, ამ მდგომარეობაში იყო ფცის ბოგირი, როდესაც სურამელმა მეფაიტონემ თავმოწონებით გამოარჩენა ქალაქელები ქვევით ფცის დუქნის წინა. მედუქნემ, რომელმაც ბოგირის მდგომარეობა იცოდა, მეფაიტონეს დაუძახა დააყენა ნუ მიხვალო. მაგრამ უკახასკნელმა ეს სხვა ფრივ მიიღო, მედუქნეს ყურიც არ ათხოვა, შემოჰკრა ცხენებს და მოწონებით შეაყენა ფაიტონი ბოგირზედ. საბრალო მგზავრებმა როგორც მოატანეს გადარჩენილ ბურჯებსა და ცხენებმა სიმაგრეზედ ფეხები შედგეს უკანიდგან ბოგირი ერთბაშათ ბოგირის წყალში თავისის მგზავრებით გადაბრუნებული ფაიტონი გზავრებით და კუჩრით რამდენიმე არშინი გაატარა წყალმა. შემდეგ, როდესაც ფაიტონი გადმოპრუნდა დედამ და ვაჟმა მოასწრეს ხილის ერთმანერთისა და ქალი კი ამათგან გაცალკევებული დარჩა. ამ ქალს ტანისამოსი გაპეროდა და ისე ზეზეურათ ეტივტივებინა წყალსა, რომ მნახველს ეგონებოდა რომ ცურაობსო, და თანაც დედას და ძმას მაღალის ხმით ნუგეშს აძლევდა თურმე. დედა და ვაჟი ერთ ფლატოსა მიაწყდენ, შეიმაგრეს თავები. ქალი კი, დიდხანს თურმე ატარა წყალმა, მაგრამ ვინ იყო საბრალოს მშველელი. ბოლოს, სიჩქარეში, რომ გაეტანა წყალსა აქ ჩაყურჭუმალება დაეწყებინებინა და დამღრჩვალიყო. ფაიტონი ცხენებით ერთ ღრანტეში მიეხირა, მეფაიტონე როგორც იყო გამოსულიყო და დაუძახნა კაცებისთვის, რომლებსაც ვაჟი და უბედური დედა გამოეყვანათ, დამხრჩვალი ქალი გამოეთრი-

ათ და ფაიტონის გამოთრევა კი ველარ გაებედნათ. ორი დღე საბრალო ცხენები და დალეწილი ფაიტონი ამ ადგილს ყოფილან. მეფაიტონე წასულა სურამში, ალა ჩამოუყვანია და ამ რიგათ გამოუთრევიათ ფაიტონი. გადურჩენიათ ორი ცხენი, მაგრამ ორი ცხენი კი დამხჩვალა.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

მეჯვრისხევი. მარტის 30 დღესა წინათაც ვიწერებოდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ ამ სოფელში უხვი ღვინის გამო ერთი ჩხუბი, და ახალ მაყალია ყოველს ცისმარეს დღეს. რამდენი მსხვერპლი შეიწირა ამ დალოცვილმა ბახუსსა; მაგრამ ბუნებითი სიკვდილიც კი გაონავრდია და ყოველს ცისმარეს დღეს მიაქვს მსხვერპლებს. ამ მოკლე ხანში აქ ორასზე მეტი ადამიანი მოკვდა! ორასი მოკვდა მეთქი! ვინღა დარჩა? ნანახევრდა რაღა ხალხი, მღვდლები ველარ ასდიან დამარხვასა, სასაფლაო აივსო, დამარხულს მკვდრებს იღებენ საფლავიდგან და მათ მაგიერათ ახალს ჰმარხვენ. საკვირველი ეს არის, რომ ასე უყურადღებოდ უშვებენ ამ საშინელს ზეცის მეხს! ის მაინც წარმოვიდგინოთ, რომ იგინი არიან მუშები, ეხუმრებით ორასი მუშის საქმიდგან მოშორება? რამდენი, ორასი ახლა სხვაგან კვდება უპატრონობით. რას იტყვი ამაზე ნეტა ვიცოდეთ მაზრის მკურნალო? ნუთუ კაცთ მოყვარე მთავრობა იმისთვის მიუნდვია იმისთვის ეს წმინდა თანამდებობა, რომ გორში იჯდეს და გულ გრილად უცქეროდეს ხალხის ქლეტას, ხალხის ქვითინსა. აბა იმას მოუვიდეს ვინმე გულის დამწველი ნეტა მაშინ რას იქმა. ჩვენი მკურნალი უეჭველია ასე ფიქრობს რომ გრძნობა არა აქვს ჩვენ საწყალს ბაღილას რომელიც ცოლშვილით ამოსწყდა, რომელსაც წყლის გამთბობი აღარავინა ჰყავს და როგორც იტყვიან, დღეს, თუ ხვალ [illegible] ამოუვა სახლში. რამდენი ბაღილა არის მის სამკურნალო მზრუნველობის ქვეშ მყოფს მაზრაში?!

ახლა მოგახსენოთ, რითი იქლიტება ხალხი ყალართმა (სკარლატინა) (?) მჭვალი და ერთი რაღაც უცნაური სნეულობა. მგონი ეს სულ ყალართმა არის, მაგრამ ექიმის დაუდევრობის გამო განავრდა, გაძნელდა და სხვა-და-სხვა ფრივ აჩნდება კაცსა და ასე ჰკლავს. მიუმატოთ ამას წითელა და ყვავილი და მაშინ დარწმუნდებით, რომ ჩვენ სოფელში დიდი ხორველობა ჩამოვარდა და ეს კი თითქოს ჯერ არავინ იცის ვინ არის ამ შემთხვევაში დამნაშავე? რაღა თქმა უნდა რომ უფრო მაზრის მკურნალი. მაზრის უფროსს უნდა ჰყავდეს მაზრის მკურნალი, რომელიც აკი ჰყავს კიდეცა; მაგრამ უბედურობა ეს არის რომ გორის გარეთ არ წავა. მაშინ წავა, როცა დასჭრიან ვისმეს ან თავს გაუტეხენ: წავა და გზის ფულს იღებს რა ენაღვლება. თუ მაზრის უფროსზე არის დამოკიდებული მაზრის მკურნალის ამორჩევა, მაშინ გასაკვირველია რომ ამისთანა მკურნალს თავის მაზრიდგან არ აძევებს. გარდა ამისა მაზრის სამმართველოში მოუყრიათ თავი ისეთ ჩინოვნიკობას, რომლებიც ხელ აღებულნი არიან სინიდისზედაც და გულ წრფელობაზედაც. გამოგზავნის უფროსი ერთს რომელსამე ჩინოვნიკს გასავებლად, მართალია იხოცება ხალხი, თუ არა. ამოვა ეს ჩინოვნიკი იყვირებს, ილანძღება, ხეირიანად ვერას გააგებინებს გლეხებს, იმათაც ეშინიანთ, რომ მაზრის სამმართველოში მოწმად არ [illegible], და ყველაფერზე ეუბნებიან [illegible] მოვლენ ეს ბატონები და ეტყვიან უფროსსა, რომ არც იხოცება ხალხი და ფჩხილიც არავის წამოტკივებიათ.

არც ცოცხლებს აყრიათ ხეირი აქაური ვაჭრების ჯადამკიდე და გორის სომხებისა. რაღაც დეპო გახსნეს, პატარა ისიამოვნა ხალხმა, ცოტა დაისვენეს ყვლეფისაგან. ახლა ესეც, რაღაც მიზეზით, აღარ მუშაობს დრომდისინა და ისევ ვაჭრების მახეში გაება აქაურობა. გორის სომხებს ბევრი ფული აქვთ გავალებული აქაურს თავად-აზნაურობაზე. ვალს აძლევენ მოვალესა და მოვალე არ იღებს რა არის ვალმა იბარტყოს და ერთი-ორათ აიღონ თავიანთ ფული. გიორგი ერისთავი ერთი თვეა უკან დასდევს ზარამოვსა და ეხვეწება აიღე ფული, მაგრამ ის არ იღებს. რაღა ბევრი ვილაპარაკო, ეს ვაჭრებიც „სიკვდილზე“ მეტს ბევრს არას გვასიამოვნებენ.

იოსებ დამკვირვებაძე

---

# უცხო ქვეყნები

---

## ოსმალეთი

ეგვიპტის ხედივს გამოუცვლია მინისტრები, რომელთა შორის ჰყოფილან ერთი ინგლისელი და ერთი ფრანცუზი, რომლის გამო ინგლისის და საფრანგეთის მმართველობა უკმაყოფილოთ დარჩენილა. ამ შემთხვევის გამო სულთანს მიუწერია ტელეგრამმა სალსბირისათვის რომელშიაც აცხადებს მწუხარებას იზმაილის მოქმედებაზედ, ჰპირდება მის გამოცვლას და ხალიმის დანიშვნას. ამ

---

# ფელტონი

---

შეიძლება თუ არა გაყვანილ იქმნას „დროების“ „მე — 47, 48, 49 №-ბში“ მოყვანილი ცოდნანი ჩვენს სასოფლო და სამოქალაქო შკოლებში?

(დასასრული)

ზ). მუზიკა, გალობა.

ამაზე ბევრის თქმა და ლაპარაკი არ შემიძლიან. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ ჩვენ ყოვლის ღონის-ძიებით უნდა ვეცადოთ და ყველა სასოფლო შკოლებში ჩონგურზე ანუ თარზე დაკვრა შემოვიღოთ. ეს სამუზიკო იარაღები ასე იაფია, რომ ამ მხრით, ჩვენი სასოფლო შკოლები ძლიერ ნეტარ მდგომარეობაში იმყოფებიან. უწინ სხვა-და-სხვა სამუზიკო იარაღზე დაკვრა ძალიან იყო გავრცელებული ჩვენ ხალხში, ასე რომ მრავალმა ჩვენმა ქალებმაც კი იცოდნენ; ახლა კი ეს მშვენიერი ხელობა თითქმის სრულიად დაცემულია. დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას, ვინც პირველათ ამ საქმეს რამე წარმოებას მისცემს და ასე თუ ისე ფეხზე წამოაყენებს. მაგრამ ვის შაუძლიან სასოფლო მასწავლებელზე მეტი ხელი მოუმართოს ამ საქმეს? ამიტომ ვისურვებთ, რომ თვით მასწავლებელნი შეუდგნენ ჩონგურზე ანუ თარზე დაკვრის შესწავლას და თავიანთ მოსურნე შაგირდებსაც ასწავლონ. დაუღალავი დღიური შრომის შემდეგ შკოლაში, რომ ყმაწვილებმა თარის ანუ ჩონგურის დაკვრაზე ლეკური დაუარონ, ანუ დამღერონ ცუდი არ იქნება... ამით ჩვენ შაგვიძლიან ერთი ათად უფრო გავაცოცხლოთ ჩვენი დაცემული ქართველის გული! მხოლოდ ერთხელ უნდა ნახოს კაცმა თარზე დამკვრელი უსწავლული გლეხი კაცი, (რომელმაც ყოვლის უმასწავლებლოთ ისწავლა დაკვრა), რომ მაშინვე თაყვანის მცემელი გახდეს ზემოდ მოყვანილი აზრისა! ვისურვებთ, რომ ამ აზრმა მეტი მომხრე მოიპოვოს და ჩვენმა მემუზიკეებმა კი სკრიპკის თუ სხვა უცხო სამუზიკო იარაღების მაგიერად შეიყვარონ ჩვენი ხალხის სამუზიკო იარაღები და ამით წარმატება მისცენ ჩვენ მუზიკას!

აი ჩვენის ფიქრით ის ცნობანი, რომელნიც გარდაცემულნი უნდა იყვნენ ჩვენ სასოფლო შკოლებში. შეიძლება თუ არა ეს ცოდნანი გარდაცემულნი იყვნენ, ჩვენ ამაზე ჩვენი ვსთქვით. თქმა არ უნდა, რომ ეს პროგრამმა დაურღვეველი პროგრამმა არ არის; დასრულებული პროგრამმის შემუშავება მთელი კრების საქმეა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი პირადი შეხედულობა გამოვსთქვით.

---

ახლა სიტყვა დარჩა სამოქალაქო სასწავლებლებზედ. თუ სასოფლო სასწავლებელში შესაძლებელია ყველა საგნებიდამ საჭირო ცნობების შესწავლა, თქმა არ უნდა, რომ ყოველი ეს ათჯერ უფრო ადვილი ასასრულებელია სამოქალაქო სასწავლებლებში, რადგანაც აქ მასწავლებელნიც მეტნი არიან, შეძლებაც მეტია, მოწყობილობაც უკეთესია და სხვა ყველაფერი. ამიტომ თქმა არ უნდა, რომ სამოქალაქო სასწავლებელში ყოველი სასწავლო საგანი უნდა შეისწავლებოდეს უფრო ვრცლად, უფ-

საქმის თაობაზედ ინგლისის და საფრანგეთის კაბინეთებს ჰქონდათ რჩევა.

—ერთი ინგლისური გაზეთი ამბობს, რომ ხედივი ხალიმს ალაგს არ დაუთმობს და ოსმალეთი იძულებული იქნება გაგზავნოს ჯარები,—მაგრამ საუბედუროთ ოსმალეთს არა ჰყავს იმდენი ჯარი, რომ ხედივის გამოსაცვლელათაც გაგზავნოს. ოსმალეთს დიდი მოვალეობა დაედება ხედივის გამოცვლაზედ, მაგრამ ინგლისი მაზედ არა ჰფიქრობს, რადგანაც მას ყოველ ღონისძიებით უნდა ინდოეთის გზა ეჭიროს.

სტამბოლის გაზეთი გვაცნობებს, რომ უკანასკნელი რუსეთის წინადადება აღმოსავლეთ რუმელიაზედ მდგომარეობს შემდეგში: აღმოსავლეთ რუმელიის მილიცია უნდა ემორჩილებოდეს უცხო ქვეყნების მმართველობისაგან დანიშნულს პირს. სულთანმა უნდა დანიშნოს გენერალ-ღუბერნატორი ევროპეულ კამისიის შემწეობით ოსმალეთმა უარი განაცხადა ბალკანის გასავალ ადგილების დაჭერაზედ თუ ეს წინადადება მიიღო უცხო-ქვეყნების მმართებლობამ, მაშინ რუსეთი გაიყვანს ჯარებს აღმოსავლეთ რუმელიიდამ ბერლინის პირობის დანიშნულობით.

სტამბოლში ხმა დავარდა, მითომ მინისტრების რჩევამ გადაწყვიტა, რომ პორტა არ იყოს გარეული არეულ ოკუპაციაში და გენერალ-ღუბერნატორათ იყოს ალეკო—ფაშა.

## საბერძნეთი

ეპიროტის დეპუტატი გენერალი სპირომილიოს წინამძღომლობით წავიდა რომში, პარიჟში და სხვა ქალაქებს, რომ სთხოვოს უცხო ქვეყნების მმართებლობას მოხმარება და ალბანიის დეპუტაციის ტყუალათ მოგონილი მოთხოვნილება გამოაშკაროს.

# რუსეთი

2 აპრილს, ცხრა საათზედ დილით ხელმწიფე იმპერატორი ჩვეულებისამებრ სასეირნოთ გამოვიდა თავის საზამთრო სასახლიდამ და მის შორი ახლო დასეირნობდა, როდესაც წინ შეეყარა ერთი 34 წლის ყმაწვილი კაცი სამოქალაქო ტანისამოსით, კაკარდიანის ქუდით, რომელმაც ჯერ თურმე მდაბლათ დაუკრა ხელმწიფეს თავი და მერე, როდესაც ცოტათი მოსცილდა, ესროლა რევოლვერი პირველათ, ერთხელ და მეორეთ როდესაც ხელმწიფე იმპერატორმა გასწია ზარჩაკოვის სახლისაკენ თავის შესაფარებლათ, სამჯერ ზედი ზედ ამ ყმაწვილმა დაჭერის დროსაც ერთხელ კიდევ გაისროლა რევოლვერი და დასჭრა ერთი მოსამსახურე პირი, ამ შემთხვევის შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორი, როდესაც დარწმუნდა, რომ დამნაშავე პირი დაჭერილი, არის ჩაჯდა კარეტაში და წაბრძანდა თავის სასახლეში, სადაც დილის 11 საათზედ შეიყარნენ მისალოცავათ უმაღლესი პირები. დაჭერის დროს ამ ყმაწვილს მიუღია საწამლავი, რომლის გამო, როდესაც პეტერბურღის გრადონაჩალნიკთან მიუყვანიათ გული არევია და გამხდარა ძალიან ავათ. ექიმებმა როგორც იყო სიკვდილისაგან დაიხსნეს ეს ყმაწვილი რომელიც გამოდგა ლეკრის თანაშემწეს შვილი, გვარათ ალექსანდრე სოლოვიოვი. ალექსანდრე სოლოვიოვს ჰყოლია 80 წლის მამა, დედა, ორი ძმა და ერთი და, რომელიც დილიდამ სალამომდე უროკებს აძლევს. ერთი ძმა ყოფილა ტამოჟნის დეპარტამენტის ჩინოვნიკი და [illegible] მათ წოლილა საავათმყოფოში. ალექსანდრე სოლოვიოვს ჯერ გაუთავებია პეტერბურღის გიმნაზიის კურსი, მერე ყოფილა უნივერსიტეტში და იქიდამ გამოსული დანიშნულა აკოვის გუბერნიაში სასოფლო შკოლის მასწავლებლათ.

# განცხადებანი

წასვლის გამო ისყიდება პიანინო, გარმონია—ფლიუტ და უზრალო მებელი სოლოლაკზე სადოვის ქუჩაზე მელიქოვის სახლებში № 43 ჰკითხეთ ბიჭს სტეფანეს.

(2—3

თბილისის ქალაქი, გამგეობა საყოველთაოთ აცხადებს, რომ 13 აპრილს დანიშნულია ტორგი, ხუთი წლით არენდათ მიცემის ქალაქის ალაგებისა, რომელიც შეადგენს 600 ოთხ კუთხი საჟენს და რომელიც მდებიარობს მე 10 უჩასტკის მეორე ნაწილში, პირველ ჩასავალ მტკვრის დაღმართზედ, ერისთვის სახლის პირდაპირ შემდეგ საზღვრებით-ჩრდილოეთის მხარეს ვარანცოვის ნაზერეჟნა, აღმოსავლეთით და სამხრეთით მდინარე მტკვარი და დასავლეთით ისარლოვის მამულები.

(3—3)

რო ღრმად, ვიდრე სასოფლო სასწავლებელში. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, აწინდელი სამოქალაქო სასწავლებლები თავისი საკლასო სისტემით, ჩვენგან წარმოდგენილი საქმისათვის სრულიად გამოუსადეგნი არიან, რადგანაც შეუძლებელია, რომ ყველა მასწავლებელმა ერცლად და ღრმად იცოდეს ყველა ეს საგნები, რათა წარმატებით გარდასცეს იგინი მოწაფეებს. ჩვენის ფიქრით ამ გვარი შკოლებისათვის საჭირო იქნებიან არა საკლასო მასწავლებელნი, არამედ ცალკე საგნების მასწავლებელნი. აი, ჩვენის ფიქრით, სურათი ჩვენი სამოქალაქო სასწავლებლისა: მასში არის მხოლოდ ოთხი მასწავლებელი: ერთი—მასწავლებელი—დოქტორი, რომელიც ასწავლის ფიზიოლოღიას, მედიცინას, გიგიენას; მეორე—მასწავლებელი მეურნე და ამასთან ხიმიკოსი და ფიზიკოსი; მესამე—მასწავლებელი — პედაგოგი და მოქალაქე, რომელიც ასწავლის პედაგოგიას, სამღრთო და საერო ისტორიას და გეოგრაფიას, და მეოთხე—მასწავლებელი აქტიორი, რომელიც ასწავლის მუზიკას, გალობას და წარმოდგენებსაც ჰმართავს სასწავლებელში, რომელშიაც ავარჯიშებს მოწაფეებს. შკოლის მმართველად აღმოირჩევა რამდენიმე წლით მათგანი ერთი თვით იმათგანვე—ხმის უმეტესობით. სწავლა ამ სასწავლებელში გრძელდება რვა წელიწადი. სასწავლებელი ძლიერ კარგათ არის მოწყობილი; აქ ყველაფერი არის: აფთიაქიც, საავათმყოფო ოთახიც, ფიზიკური და ხიმიკურიც, ყველა საჭირო სამეურნეო იარაღებიც, მუზეუმიც, შინაური პირუტყვი და ფრინველიცა ჰყავთ, მშვენიერი ბაღიც აქვთ, სათეატრო ოთახი და ტეატრალური მოწყობილობაც აქვთ და ერთი სიტყვით ყველაფერი...

დ ა ს კ ვ ნ ა. თქმა არ უნდა, რომ ყოველი ზემოთ ნათქვამი სასოფლო და სამოქალაქო სასწავლებლებზე, თავის განსახორციელებლად თხოულობს მომეტებულ ხარჯსაც, უფრო კარგად მომზადებულ მასწავლებლებსაც, ყველა სასწავლო საგნებიდამ წიგნების შედგენას და გამოცემისაც და სხვა ბევრ რამეს, მაგრამ ჩვენ როდის უნდა შეუშინდეთ ამ დაბრკოლებებს? უნდა გავისარჯნეთ, ხელი ხელს მივსცეთ, სიტყვა-სიტყვას, ჭკუა-ჭკუას, გროში გროშს მოუმატოთ და საქმე დავიწყოთ! საქმე მხოლოდ იმაშია, ვის უნდა ვანდოთ, ვინ უნდა ითავოს, ვინ უნდა გაგვიმართოს ამ გვარი სასოფლო და სამოქალაქო სასწავლებლები? ერთი პასუხი—„ისევ თვითონ ჩვენ!!“ თუ ჩვენ არა, სხვა ვერავინ ვერ მოგვცემს ჩვენ საკუთარ შკოლას, თვით ჩვენი ცხოვრების, ხალხოსნობის დამაკმაყოფილებულ შკოლას, ვერა და ვერა! ამ იმედით მოუთმენელად ველით ჩვენ ქვეყანაში განათლების გავრცელების საზოგადოების დაარსებას!! იმედია, რომ ყოველი ქართველი არაფერს არ დაიშურებს ამ საზოგადოებისათვის, რათა მას საშუალება მიეცეს, მართლა და თვით ჩვენი საკუთარი ჭკუით, საკუთარი სურვილის და ცხოვრების მოთხოვნილებისამებრ აწარმოოს ჩვენი ხ ა ლ ხ ი ს გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა!...

ვანო როსტომაშვილი

ქ. ზაქათალა, 26 მარტს 1879 წ.

**თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს რომ § 15 ბანკის წესდების ძალით ქვემო-მოხსენებული პირების უძრავი მამულები, რომლებიც შეტანილია გირაოთ ბანკში და ამავე წესდების ძალითვე ნახევარ წლის სარგებლის წინათ შემოუტანლობის გამო ისყიდება სახალხოთ. ამ მამულების გაყიდვა შესდგება მარტო მაშინ როცა მემამულეები შემოიტანენ ნახევარ წლის სარგებელს.**

| სახელი და გვარი მემამულეებისა. | რა გვარი მამულია | ადგილი საცა მამული იმყოფება |
|---|---|---|
| პოლოტაური, გიორგი ივანეს ძე. | ვენახი ხეხილის-ბაღი 1 დესიატინა და 600 ოთხ-კუთხ. საჟენი | თფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. დიღომში |
| მარტიევი, პავლე სიმონის ძე | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 60 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. | ქ. თფილისში, II განყოფილებაში 14 ნაწილში, ავლაბარში. |
| მეხტიევი, სადიხ-ასკარ-ოღლი | ორ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ბაღით და 547 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით | თფილისში, I განყოფილებაში 19 ნაწილში ბოტანიკური ბაღის გვერდით. |
| მამუკიანცები ბაგრატი და ალექსი გეურქის-შვილები | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 143 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით | თფილისში II განყოფილებაში 13 ნაწილში, უ სახელო ქუჩაში (ბეზიმიონნი ქუჩა) |
| ბასტამოვისა, ანნა იაგორის ასული | ბაღის ნაწილი 7 დესიატინა 1440 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით | თფილისის გუბერნიაში და მაზრაში სოფ. ზემო-ავჭალაში. |
| რუსსიევ-ყორჩიბაშოვი, თ. გიორგი გიორგის ძე | ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი 1250 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით | თფილისის გუბერნიაში ქ. თელავში ყორჩიბაშოვის ქუჩაზე. |
| ვაჩნაძისა, კნ. მარიამ მიხეილის ასული | ვენახი, 3 დესიატინა | თფილისის გუბერნიაში სიღნაღის მაზრაში სოფ. კარდანახში. |

(3—1)

**უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.**

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარეშე პირებს შეუძლიანთ გამოიწერონ დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. ა. მესხის მაღაზიაში **ისყიდება**

## „ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გრიბოედოვისა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-ძიერ.

**ფასი—ექვსი შაური**

დაიბეჭდა და ისყიდება

საქართველოს

## კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

**ისყიდება** უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და ისყიდება

## „ბუტიაობა“

ვოდევილი

**აკაკი წერეთლისა**

**ისყიდება:** ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაჰერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. ა. მესხის წიგნის მაღაზიაში.

**ფასი—ერთი აბაზი.**

## „ჯაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

**მ. ჯორჯაძისა**

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვ, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგ, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთშ, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოსტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთი—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დახ ქაღალდის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 5 აპრილს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 30 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 40 |
| ბაპენტური ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური ლტ. . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 35 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 50 |
| ყავა გრგვლი, გირვ. . | — | 65 |
| ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშური ფთ. | 7 | 40 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წ ნამძღვარიშვილის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და გარლევიჩი—შინაგ. ავათ., მიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., მიუჩარიანცი—იფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Апрѣля 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.